**ა. პროგრამის დასახელება**
დამატებითი საბაკალავრო პროგრამა (minor) "გენდერის კვლევა"
Undergraduate Minor in Gender Studies

**ბ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი, ძირითადი სპეციალობა - _____ ,
დამატებითი სპეციალობა - გენდერის კვლევა.
BA in Social Sciences with Major in _____ ,
Minor in Gender Studies.

**გ. პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

სტუდენტი ვალდებულია პროგრამის ფარგლებში დააგროვოს 60 კრედიტი (ECTS) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეთავაზებული სასწავლო კურსებით. ამ კურსებიდან 8 სავალდებულოა (40 ECTS), ხოლო 3 - არჩევითი (20 ECTS) 9 შესაძლო კურსიდან.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს დამატებითი პროგრამის კურსების გარკვეული რაოდენობა გავლილი აქვს, როგორც ძირითადი სპეციალობის ნაწილი და ეთვლება ძირითადი სპეციალობით მოთხოვნით გათვალისწინებული 120 კრედიტის შესავსებად, მან დამატებითი სპეციალობის მოთხოვნით გათვალისწინებული 60 კრედიტიდან 40 მაინც უნდა შეავსოს სასწავლო პროგრამაში შემავალი სხვა კურსებით. ეს იმას ნიშნავს, რომ დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტის მოთხოვნის შესასრულებლად მხოლოდ 20 კრედიტი შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად ისეთი კურსებით, რომელთა გავლით მოპოვებული კრედიტებიც სტუდენტს ძირითადი სპეციალობის მინიმალური მოთხოვნის შესასრულებლადაც ეთვლება.

**დ. სწავლების ენა**
სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

**ე. პროგრამის მიზანი**

გენდერის კვლევა ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც შეისწავლის გენდერს, როგორც სოციალურ მოვლენას; აგრეთვე, მის ურთიერთქმედებას სხვა ისეთ მნიშვნელოვან ანალიტიკურ თუ იდენტობის კატეგორიებთან, როგორიცაა კლასი, რასა, ნაციონალობა, რელიგია, ასაკი, სექსუალობა და სხვა.

გენდერის კვლევაში დამატებითი საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ზოგადი ორიენტაცია და საბაზო ცოდნა გენდერის კვლევის სფეროში, ისევე, როგორც ამ დარგისათვის რელევანტური კვლევის უნარები.

პროგრამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზანია სტუდენტებში სოციალური და პოლიტიკური უსამართლობების მიმართ მგრძნობელობისა და სოციალური კრიტიკისათვის საჭირო დამოკიდებულებების განვითარება, მოტივაციის ჩამოყალიბება სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში კომპეტენტური და პასუხისმგებლობით გამსჭვალული მონაწილეობისათვის.

პროგრამა მიზნად ისახავს, აგრეთვე, სტუდენტებში ისეთი ზოგადი აკადემიური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული კითხვის, დისკუსიებსა და პოლემიკებში მონაწილეობისა და მათი წარმართვის, აკადემიური

წერის, ზეპირი პრეზენტაციის, კვლევის მონაცემების მოძიებისა და ორგანიზების უნარები.

## ვ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამის გავლა შეუძლია თსუ საბაკალავრო საფეხურის ნებისმიერ სტუდენტს.

## ზ. სწავლის შედეგი

გენდერის კვლევაში დამატებითი საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტი შეიძენს ზოგად ორიენტაციას და საბაზო ცოდნას გენდერის კვლევის სფეროში, აითვისებს ამ დარგისათვის რელევანტურ კვლევის მეთოდებს. მას ჩამოუყალიბდება სოციალური და პოლიტიკური უსამართლობების მიმართ მგრძნობელობა და სოციალური კრიტიკისათვის საჭირო დამოკიდებულებები; განუვითარდება მისწრაფება, კომპეტენტურად და პასუხისმგებლობით მიიღოს მონაწილეობა საკუთარ ქვეყანაში, რეგიონში თუ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში.

პროგრამა სტუდენტს განუვითარებს ისეთ ზოგად აკადემიურ ჩვევებსა და უნარებს, როგორიცაა დისკუსიებსა და პოლემიკებში მონაწილეობისა და მათი წარმართვის, აკადემიური კითხვის, აკადემიური წერის, ზეპირი პრეზენტაციის, კვლევის მონაცემების მოძიებისა და ორგანიზების უნარი.

აღნიშნული დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებისა და ღირებულებითი ორიენტაციის შეძენით სტუდენტი საფუძველს იქმნის როგორც უმაღლესი განათლების მომდევნო (სამაგისტრო და სადოქტორო) საფეხურებზე სწავლის გაგრძელებისათვის, ისე შრომით ბაზარზე გასვლისათვის. ის აგრეთვე ვითარდება, როგორც პიროვნება და მოქალაქე.

კურსდამთავრებულს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პორგრამაზე გენდერის კვლევაში, ძირითადის სპეციალობის შესაბამის ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე, ჩრდილო-ამერიკული ტიპის სადოქტორო პროგრამებზე (რომლებიც სამაგისტრო სწავლების საფეხურს მოიცავს და, ამდენად, წინაპირობის სახით მხოლოდ საბაკალავრო განათლებას მოითხოვს). ის აგრეთვე მზად არის მუშაობისთვის ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

რამდენადც ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არსებობს საბაკალავრო საფეხურის პროგრამა გენდერის კვლევაში ძირითადი სპეციალობით, დამატებითი საბაკალავრო პროგრამა განსაკუთრებით სასარგებლო საფუძველს უმზადებს იმ სტუდენტებს, რომელთაც სურთ, სწავლების მომდევნო საფეხურებზე ან სამსახურში გენდერთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობა.

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტის მიერ ათვისებული ცოდნა და უნარები უფრო დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები | ზოგადი / ტრანსფერული უნარები | | | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | |
| - გენდერის კვლევის ცნებით-კატეგორიული აპარატი, თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლები, ძირითადი მიმართულებები;<br>- ძირითადი ფემინისტური თეორიები;<br>- გენდერულ თანასწორობაზე მიმართული სოციალური მოძრაობების ისტორია და არსებული მდგომარეობა;<br>- ფემინისტური იდეების ისტორია საქართველოში;<br>- გენდერის საღი აზრისეული კონცეფციების არაადეკვატურობის, გენდერის სოციალური აგების რთული ხასიათისა და ისტორიული დროის, კულტურული კონტექსტისა თუ სხვადასხვა გლობალური პროცესის მიმართ მისი ფარდობითობის გაცნობიერება. | - გენდერული უსამართლობის პრობლემების გადასაწყვეტად მიმართულ პროექტებში მონაწილეობა;<br>- სოციალური მეცნიერებების კვლევის ბაზისური მეთოდების გამოყენება გენდერის კვლევისას;<br>- გენდერული პერსპექტივის გამოყენება სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური საკითხის / პრობლემის ანალიზისას;<br>- გენდერის კვლევის ანალიტიკური რესურსების გამოყენება ძირითადი სპეციალობის მიმართულებით განხორციელებულ კვლევით პროექტებში. | - კრიტიკული აზროვნება;<br>- აკადემიური ტექსტების გაგების და კრიტიკულად აღქმის უნარი;<br>- ანალიზის და სინთეზის უნარები;<br>- რელევანტური ემპირიული მონაცემების საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი. | - აკადემიური წერის უნარი;<br>- დისკუსიებში და პოლემიკებში ეფექტური მონაწილეობის უნარი;<br>- დებატების წარმართვის უნარი;<br>- ჯგუფში მუშაობის უნარი. | - აკადემიური ტექსტების გაგების და კრიტიკულად აღქმის უნარი;<br>- რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების უნარი;<br>- კრიტიკული აზროვნების, ანალიზის და სინთეზის უნარები;<br>- ჯგუფში მუშაობის უნარი. | - სოციალური სამართლიანობა;<br>- პოლიტიკური აქტიურობა და პასუხისმგებლობა;<br>- გენდერული თანასწორობის, როგორც ღირებულების გაცნობიერება და მიღება;<br>- განსხვავებების აღიარება და პატივისცემა / ტოლერანტობა;<br>- კვლევითი კეთილსინდისიერ ება;<br>- ობიექტურობა;<br>- აზროვნების ღიაობა და სიახლის მიმართ გახსნილობა;<br>- ცოდნის, როგორც ღირებულების გაცნობიერება. |

**თ. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

აღნიშნული შედეგები მიიღწევა იმით, რომ პროგრამის კურიკულუმის კურსები მიმართულია სხვადასხვა შედეგის უზრუნველყოფაზე შედეგების ოთხივე კატეგორიის გათვალისწინებით. კურსების უმრავლესობის დიზაინი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნისა და გაცნობიერების გადაცემას; ასევე მათში კვლევის, აკადემიური წერის, ზეპირი კომუნიკაციისა და პრზენტაციის, აკადემიურ დებატებში მონაწილეობისა და მათი წარმართვის, ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებას. სახელდობრ, გარდა თეორიული ტექსტების შესწავლისა, სტუდენტებს მოეთხოვებათ თხზულებებისა და კრიტიკული რეაქციების წერა, პრეზენტაციების მომზადება, დისკუსიებში მონაწილეობა, ჯგუფური დავალებების მომზადება.

რამდენიმე კურსი ითვალისწინებს სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომის შექმნას, რაც მოიცავს ინტერვიუების ჩატარებასაც და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებასაც; სხვა კურსი ითვალისწინებს საჯარო პოლიტიკის ანალიზის ნარკვევების წერას - ეს კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას.

რამდენადაც პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი კურსების უმრავლესობა ასე თუ ისე ეხება გედნერული უსამართლობის საკითხებს, ისინი სტუდენტებში ავითარებს სოციალური სამართლიანობის იდეასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ასევე ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ანგაჟირებულობას და პასუხისმგებლობას, ანგარიშმგები და გამჭვირვალე საჯარო პოლიტიკის მოთხოვნას. ხოლო უფრო თეორიულად ორიენტირებული კურსები და კურსები, რომლებიც კვლევის მეთოდებისა და უნარების ათვისებაზეა ორიენტირებული, იმავდროულად სტუდენტებს უვითარებს კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ ღირებულებებს, როგორებიცაა ცოდნის პრიორიტეტი, მკვლევრის კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, კვლევის რეფლექსურობა და მკვლევრის სოციალური პოზიციის პოლიტიკური შედეგების გაცნობიერება და სხვა.

თუ აღნიშნული შედეგებიდან რომლის მიღწევაზეა ორიენტირებული პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი ესა თუ ის კურსი, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ შედეგების რუკაში:

| № | | სასწავლო კურსის სახელწოდება | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | გენდერი: ინტერდისციპლინური კვლევები | X | X | X | | X | X |
| 2 | | გენდერის სოციოლოგია | X | X | X | | | X |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში | X | X | X | X | | X |
| 4 | | პოლიტიკური იდეოლოგიები | X | X | X | X | X | X |
| 5 | | ოჯახის სოციოლოგია | X | X | X | | X | X |
| 6 | | ძალადობა ოჯახში: პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა | X | X | X | | | X |
| 7 | | თნამედროვე სოციალური პრობლემები I | X | X | X | X | X | X |
| 8 | | თნამედროვე სოციალური პრობლემები II | X | X | X | X | X | X |
| | | | | | | | | |
| 9 | არჩევითი | სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა | X | X | X | | | |
| 10 | | საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები | X | X | X | X | X | X |
| 11 | | თანამედროვე სოციალური თეორიები I | X | X | X | X | X | X |
| 12 | | თანამედროვე სოციალური თეორიები II | X | X | X | X | X | X |
| 13 | | პოსტმოდერნული სოციალური თეორიები | X | X | X | | | X |
| 14 | | კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა | X | X | X | | | |
| 15 | | ნაციონალიზმის თეორია და ისტორია | X | X | X | | | |
| 16 | | მასკულინობის კვლევები | X | X | | X | X | X |
| 17 | | შესავალი ფემინისტურ ნააზრევში | X | X | | X | X | X |

## ი. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა თითეოული კურსის ბოლოს ფასდება 100-ბალიან სკალაზე.

ცოდნის შეფასება ყველა კურსში ემყარება ე.წ. მიმდინარე შეფასებას, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტის შეფასებაში გათვალისწინებულია მისი მოსწრება მთელი სემესტრის განმავლობაში.

კურსები მოიცავს შეფასების კომპონენტების დიდ მრავალფეროვნებას: დისკუსია, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა ან თხზულება, საბოლოო თხზულება, წერილობითი კრიტიკული რეაქციები საკითხავ მასალაზე, კვლევითი პროექტი, საჯარო პოლიტიკის ანალიზის ნარკვევის შექმნა და სხვა.

არც ერთ კურსში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში  არ აღემატება 40%-ს. ცალკეულ კურსებში შეფასების სისტემა აღწერილია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც წარმოდგენილია დანართების სახით.

## კ. პროგრამის სასწავლო გეგმა

## 60 კრედიტი: 40 სავალდებულო, 20 არჩევითი

| N | საგნის დასახელება | სტატუსი | დონე | კრედიტი (ECTS) | შემოდგომა | გაზაფხული |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სავალდებულო კურსები: 40 ECTS / 8 კურსი** | | | | | | |
| 1 | შესავალი გენდერის კვლევასა და ფემინისტურ თეორიებში (საფაკულტეტო არჩევითი) | სავ | | 5 | X | |
| 2 | გენდერი: ინტერდისციპლინური კვლევები (სოციოლოგიის პროგრამა, ლ. გაფრინდაშვილი) | სავ | | 5 | | X |
| 3 | გენდერის სოციოლოგია (სოციოლოგიის პროგრამა, ლ. გაფრინდაშვილი) | სავ | | 5 | X | |
| 4 | გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში (პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა, ე.დარბაიძე) | სავ | | 5 | | X |
| 5 | პოლიტიკური იდეოლოგიები (პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა, ს. დუნდუა) | სავ | | 5 | X | |
| 6 | ოჯახის სოციოლოგია (სოციოლოგიის პროგრამა, შ. თურქიაშვილი) | სავ | | 5 | | X |
| 7 | ძალადობა ოჯახში: პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა (სოციალური მუშაობა, ლ. გაფრინდაშვილი) | სავ | | 5 | | |
| 8 | თანამედროვე სოციალური პრობლემები I (სიღარიბე, უმუშევრობა, შედსი, სგგდ, პროსტიტუცია და სხვა) (სოციალური მუშაობა, შ. თურქიაშვილი) | სავ | | 5 | X | |
| 9 | თანამედროვე სოციალური პრობლემები II (სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეობა, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები, ქსენოფობია და სხვა) (სოციალური მუშაობა, მ. მგელიაშვილი) | სავ | | 5 | X | |
| **არჩევითი კურსები: 20 ECTS შეთავაზებული 8 კურსიდან** | | | | | | |
| 1 | სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა (სოციალური მუშაობა, ნ. შატბერაშვილი) | არჩ | | 5 | | X |
| 2 | საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები (პოლიტიკური მეცნიერების პროგრამა, ნ. მაჭარაშვილი) | არჩ | | 5 | | X |
| 3 | თანამედროვე სოციალური თეორიები I (სოციოლოგიის პროგრამა, ი. კაჭკაჭიშვილი, ა. ბერძენიშვილი) | არჩ | | 5 | X | |
| 4 | თანამედროვე სოციალური თეორიები II (სოციოლოგიის პროგრამა, ი. კაჭკაჭიშვილი, ა. ბერძენიშვილი) | არჩ | | 5 | | X |
| 5 | პოსტმოდერნული სოციალური თეორიები (სოციოლოგიის პროგრამა, ი. კაჭკაჭიშვილი) | არჩ | | 5 | X | |
| 6 | კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა (საფაკულტეტო არჩევითი, გ. მაღრაძე) | არჩ | | 5 | | X |
| 7 | ნაციონალიზმის თეორია და ისტორია (საერთაშორიოს ურთიერთობები / შედარებითი საგარეო პოლიტიკა და რეგიონული კვლევები, ზ. დავითაშვილი) | არჩ | | 5 | X | |
| 8 | მასკულინობის კვლევები(სოციოლოგიის პროგრამა. ი. კაჭკაჭიშვილი, ა. ბერძენიშვილი, თ.მელაშვილი) | არჩ | | 5 | | X |
| 9 | შესავალი ფემინისტურ ნააზრევში(სოციოლოგიის პროგრამა. ი. კაჭკაჭიშვილი, ა. ბერძენიშვილი, თ.მელაშვილი) | არჩ | | 5 | | X |

**ლ. პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი**

პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი:
თამარ საბედაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

პროგრამაში ჩართული ლექტორების სტატუსი:

| | |
|---|---|
| პროფესორი | 3 (გ. მაღრაძე, ზ. დავითაშვილი, ი. კაჭკაჭიშვილი) |
| ასოცირებული პროფესორი | 5 (თ. საბედაშვილი, ლ. გაფრინდაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ა. ბერძენიშვილი, ს. დუნდუა). |
| ასისტენტ პროფესორი | 1 (შ. თურქიაშვილი) |
| მოწვეული ლექტორი | 6 (მ. მგელიაშვილი, ე.დარბაიძე, ქ. ჩხეიძე, თ. მელაშვილი, ნ. შატბერაშვილი) |

**მ. დასაქმების სფეროები**

კურსდამთავრებულს შეუძლია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პორგრამაზე გენდერის კვლევაში, ძირითადის სპეციალობის შესაბამის ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე, ჩრდილო-ამერიკული ტიპის სადოქტორო პროგრამებზე (რომლებიც სამაგისტრო სწავლების საფეხურს მოიცავს და, ამდენად, წინაპირობის სახით მხოლოდ საბაკალავრო განათლებას მოითხოვს). ის აგრეთვე მზად არის მუშაობისთვის ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

რამდენადც ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არსებობს საბაკალავრო საფეხურის პროგრამა გენდერის კვლევაში ძირითადი სპეციალობით, დამატებითი საბაკალავრო პროგრამა განსაკუთრებით სასარგებლო საფუძველს უმზადებს იმ სტუდენტებს, რომელთაც სურთ, სწავლების მომდევნო საფეხურებზე ან სამსახურში გენდერთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობა.

**ნ. დამატებითი ინფორმაცია**

პროგრამაზე სწავლის დაწყება შესაძლებელია პირველივე სემესტრიდან.

რეკომენდებულია, სტუდენტმა მეორე სასწავლო წლის (მეოთხე სემესტრის) ბოლოს მაინც მიიღოს გენდერის კვლევაში დამატებითი სპეციალობის მიღების გადაწყვეტილება, რათა მომდევნო ოთხი სემესტრის განმავლობაში შეძლოს პროგრამის მოთხოვნების შესრულება.

დამატებითი პროგრამის კომბინირება დასაშვებია თსუ ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერ ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან. განსაკუთრებით რეკომენდებულია გენდერის კვლევაში დამატებითი სპეციალობის შეძენა სტუდენეტებისათვის, რომლებიც ძირითად სპეციალობად აირჩევენ პოლიტიკურ მეცნიერებას, სოციოლოგიას, სოციალურ მუშაობას, ჟურნალისტიკას, საერთაშორისო ურთიერთობას, საზოგადოებრივ გეოგრაფიას, ფსიქოლოგიას

(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ფილოსოფიას, ისტორიას, შედარებით ლიტერატურას, ანთროპოლოგიას (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), სამართალმცოდნეობას ან ეკონომიკას.

სტუდენტების რაოდენობა პროგრამაზე შეზღუდული არ არის. კონკრეტულ შემთხვაში შეიძლება დროებითი შეზღუდვები შეიქმნას ამა თუ იმ სემესტრში ამა თუ იმ კურსზე რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობის შეზღუდვის გამო.